თანხმობა

ამ დოკუმენტზე ხელმოწერით, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გამსახურდიას II ჩიხი #2“-ს თავმჯდომარე მაია წილოსანი (პ.ნ.: 01024048977), როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გამსახურდიას II ჩიხი #2“-ის წესდებით უფლებამოსილი პირი უძრავ ქონებაზე:

- ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია, ჩიხი II , N 2 , (ნაკვეთი N010/017) / ქალაქი თბილისი, გამზირი გამსახურდია , ჩიხი II , N 2 სადარბაზო 1, სართული 6, საერთო დაზუსტებული ფართობი - 995,00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.17.010.017; 01.10.17.010.008; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N5 საერთო ფართი:195.48 კვ.მ. (მათ შორის: საცხოვრებელი ფართი 65.19 კვ.მ., დამხმარე ფართი 40.22 კვ.მ., სამეურნეო ფართი 90.07 კვ.მ.) , N1, N2, N3, N4; საკადასტრო კოდი: 01.10.17.010.038

ვაცხადებთ თანხმობას განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები, დამტკიცდეს პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი #AR1639273 განცხადების შესაბამისად.

მაია წილოსანი

პ.ნ.: 01024048977

ხელმოწერა.....

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181376591
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.11.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამილა გოგატიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599 33 55 77, 032 233 55 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	6340245458418

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის რვა ნოემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: პეკინის 8, მეორე სართულზე, მომმართა **მაია წილოსანმა,** მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ **თანხმობაზე** თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დოკუმენტით და სამოქალაქო რეესტრის ვებ-გვერდზე გადამოწმებული ინფორმაციით და დავრწმუნდი რომ ნამდვილად **მოქ. მაია წილოსანმა (დაბადებული 30.06.1958 წელს, პირადი # 01024048977) მომმართა.**

მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე **თანხმობაზე** ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ მხოლოდ მოქ. **მაია წილოსანის ხელმოწერას და პასუხს არ ვაგებ ტექსტის შინაარსსა და სისწორეზე. შემდეგ მხარემ** ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ **თანხმობას.**

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა #507 2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად: ლარი 2.36 ლარი დღგს ჩათვლით ასევე 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად. სულ 4.36 ლარი;

ნოტარიუსი: /თამილა გოგატიშვილი/

შეკერილია და დანომრილია

ფურცლად

ნოტარიუსი

თანხმობა

ამ დოკუმენტზე ხელმოწერით, მანანა ბეჟანიშვილი პ.ნ.: 01024046667 და ლარისა ბეჟანიშვილი პ.ნ.: 01024045359, როგორც მომავალი მესაკუთრე და იპოთეკარი უძრავ ქონებაზე:

- ქალაქი თბილისი, გამზირი გამსახურდია, ჩიხი II , N 2 , (ნაკვეთი N010/017) / ქალაქი თბილისი, გამზირი გამსახურდია , ჩიხი II , N 2 სადარბაზო 1, სართული 6, საერთო დაზუსტებული ფართობი - 995,00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.17.010.017; 01.10.17.010.008; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N5 საერთო ფართი:195.48 კვ.მ. (მათ შორის: საცხოვრებელი ფართი 65.19 კვ.მ., დამხმარე ფართი 40.22 კვ.მ., სამეურნეო ფართი 90.07 კვ.მ.) , N1, N2, N3, N4; საკადასტრო კოდი: 01.10.17.010.038

ვაცხადებთ თანხმობას განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები, დამტკიცდეს პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი #AR1639273 განცხადების შესაბამისად.

მანანა ბეჟანიშვილი

პ.ნ.: 01024046667

ლარისა ბეჟანიშვილი

პ.ნ.: 01024045359

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181376585
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.11.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამილა გოგატიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599 33 55 77, 032 233 55 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	98662770603818

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის რვა ნოემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: პეკინის 8, მეორე სართულზე, მომმართა მოქ. **მანანა ბეჟანიშვილმა და ლარის ბეჟანიშვილმა,** მათ მოითხოვეს მათ მიერ წარმოდგენილ **თანხმობაზე** თავიანთი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა და ქმედუნარიანობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობებით და სრს ვებ-გვერდზე გადამოწმებული ინფორმაციით და დავრწმუნდი **რომ მოქ. მანანა ბეჟანიშვილმა (დაბადებული 21.10.1948 წელს, პირადი # 01024046667) და ლარისა ბეჟანიშვილმა (დაბადებული 21.09.1951 წელს, პირადი # 01024045359) ამომმართა.**

მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე **თანხმობაზე** ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ მხოლოდ **მანანა ბეჟანიშვილის და ლარის ბეჟანიშვილის** ხელმოწერების ნამდვილობას და პასუხს არ ვაგებ ტექსტის სისწორესა და შინაარსზე. შემდეგ მხარეებმა ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი მათ მიერ წარმოდგენილ **თანხმობას.**

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად: 4.72 ლარი, დღგ-ს ჩათვლით; და 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად. სულ 6.72 ლარი;

ნოტარიუსი: /თამილა გოგატიშვილი/



სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №1-8252

საქართველო

ორიათას შვიდი წლის ოცდარვა დეკემბერს მე, სოხუმის რაიონის ნოტარიუსს სოსო მუმლაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, ჟ. შარტავას 42, მომმართეს ბატონებმა **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა და ქალბატონებმა მაია წილოსანმა და ქეთევან კელეპტრიშვილმა.** მათ მოითხოვა კრების ოქმზე მათი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** (დაბადებული 03.09.1951წ, თბილისში, პირადი №01024035810, პ.მ №დ0334359, პ.მ გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I განყოფილების მიერ 09.10.2001წ, მოქმედების ვადა უვადოდ, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას II ჩიხი 2), **მაია წილოსანმა** (დაბადებული 30.06.1958წ, თბილისში, პირადი №01024048977, პ.მ № გ1088183, პ.მ გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 31.08.2007წ, მოქმედების ვადა 31.08.2017წლამდე, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას 2 ჩიხი №2) და **ქეთევან კელეპტრიშვილმა** (დაბადებული 15.02.1925წ, გურჯაანში, პირადი №01024048976, პ.მ № ბ0602325, პ.მ გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I განყოფილების მიერ 11.11.2004წ, მოქმედების ვადა უვადოდ, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას მე-2 ჩიხი №2) მომმართა. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მათ განაცხადეს, რომ დამფუძნებელთა კრების ოქმი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვამოწმებ.

ნოტარიუსის საზღაური: **9-00** ლარი + დ.ღ.გ. 1 ლარი და 62 თეთრი = სულ 10 ლარი და 62 თეთრი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის -შესახებ საქართველოს კანონი, 11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს, მუხლი 29.3 და 31-ე)

სანოტარო მოქმედების ჩატარების ადგილი ქ.თბილისი, გამსახურდიას 2 ჩიხი №2.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ გამსახურდიას II ჩიხი №2“-ის
დამფუძნებელთა კრების ოქმი

ქ. თბილისი „28“ დეკემბერი 2007 წ.

კრებას ესწრებოდნენ: ფიზიკური პირები საქართველოს მოქალაქეები:
ნიკოლოზ კელეპტრიშვილი, მაია წილოსანი და ქეთევან კელეპტრიშვილი

კრების თავმჯდომარე- მაია წილოსანი
კრების მდივანი – **ნიკოლოზ კელეპტრიშვილი**

დღის წესრიგი

1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის „გამსახურდიას II ჩიხი №2“-ის დაფუძნება.
2. ბინათმშენებლობის ამხანაგობის „ გამსახურდიას II ჩიხი №2“-ის სადამფუძნებლო ხელშეკრულების განხილვა და მიღება;
3. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა;
4. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა შორის წილების განაწილების საკითხი;

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით დამსწრეთ ინფორმაცია გააცნო **ნიკოლოზ კელეპტრიშვილი** მან აღნიშნა, რომ **ნიკოლოზ კელეპტრიშვილი, მაია წილოსანი და ქეთევან**

კელეპტრიშვილი თანახმა არიან რომ მათ მფლობელობაში მყოფ მიწის ნაკვეთზე აშენდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გახდეს ამხანაგობის საკუთრება.
ბ-მა **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** აღნიშნა, რომ დამსწრე პირთა საერთო მიზნის მისაღწევად საჭიროა შეიქმნას ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა. გაიმართა მსჯელობა. ყველა დამსწრემ მხარი დაუჭირა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის შექმნას.
დაადგინეს:
შეიქმნას ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა და ეწოდოს მას ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გამსახურდიას II ჩიხი №2“ **ნიკოლოზ კელეპტრიშვილის, მაია წილოსანის და ქეთევან კელეპტრიშვილის მონაწილეობით.**
დღის წესრიგის მეორე საკითხი. დამსწრეებმა განიხილეს ამხანაგობის სადაფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი. ხელშეკრულების წარმოდგენილი პროექტის მიმართ ძირითადში შენიშვნები არ გამოთქმულა.
დაადგინეს (ერთხმად) : დამტკიცდეს ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება;
დღის წესრიგის მესამე საკითხი: ამხანაგობის თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელდა და ერთხმად არჩეული იქნა **მაია წილოსანი** (დაბადებული 30.06.1958წ, თბილისში, პირადი №01024048977, პ.მ № გ1088183, პ.მ გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 31.08.2007წ, მოქმედების ვადა 31.08.2017წლამდე, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას 2 ჩიხი №2)
დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა **მაია წილოსანი** მან განსახილველად გამოიტანა დამფუძნებლებთან შეთანხმებული წილები (ფართები) განაწილდეს შემდეგნაირად:
ბინები უნდა გადანაწილდეს თანაბარწილად ამხანაგობის დამფუძნებლებს შორის აშენებული ფართის პროპორციულად
დაადგინეს;

დაევალოს ამხანაგობის თავმჯდომარეს განახორციელოს ამ ოქმის საფუძველზე მიღებული ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების სანოტარო დამოწმებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, ამხანაგობის რეგისტრაცია ყველა ოფიციალურ სახელმწიფო ორგანიზაციაში, ამხანაგობის ბეჭდის აღება და დამფუძნებელი წევრების მიერ ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში ამხანაგობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ასევე ამხანაგობის თავმჯდომარეს მიეცეს უფლებამოსილება წევრთა საერთო კრების თანხმობის გარეშე თავისი შეხედულებისამებრ ერთპიროვნულად განკარგოს ამხანაგობის კუთვნილი ფულადი სახსრები და ქონება კერძოდ გაყიდოს, გააჩუქოს, დატვირთოს იპოთეკით, და სხვა, ხოლო მიღებული შემოსავლები კი მოახმაროს ამხანაგობის დებულებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას ; ასევე დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები ი.მ.ა-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით;

მხარეთა ხელმოწერები

ნოტარიუსი

სოსო მუმლაძე

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №1-8253

საქართველო

ორიათას შვიდი წლის ოცდარვა დეკემბერს მე, სოხუმის რაიონის ნოტარიუსს სოსო მუმლაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, ჟ. შარტავას 42, მომმართა ბატონებმა **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა და ქალბატონებმა მაია წილოსანმა და ქეთევან კელეპტრიშვილმა.** მათ მოითხოვეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შედგენა და მისი დადასტურება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** (დაბადებული 03.09.1951წ, თბილისში, პირადი №01024035810, პ.მ №დ0334359, პ.მ გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I განყოფილების მიერ 09.10.2001წ, მოქმედების ვადა უვადოდ, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას II ჩიხი 2), **მაია წილოსანმა** (დაბადებული 30.06.1958წ, თბილისში, პირადი №01024048977, პ.მ № გ1088183, პ.მ გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 31.08.2007წ, მოქმედების ვადა 31.08.2017წლამდე, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას 2 ჩიხი №2) და **ქეთევან კელეპტრიშვილმა** (დაბადებული 15.02.1925წ, გურჯაანში, პირადი №01024048976, პ.მ № ბ0602325, პ.მ გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს. I განყოფილების მიერ 11.11.2004წ, მოქმედების ვადა უვადოდ, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას მე-2 ჩიხი №2) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მათ განაცხადეს, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო მოქმედების ჩატარების ადგილი– ქ.თბილისი, გამსახურდიას 2 ჩიხი №2.

მუხლი 1. ამხანაგობის სახელწოდება, მისამართი, ტერმინთა განმარტება და დამფუძნებლები

1.1 ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის სახელწოდებაა **„გამსახურდიას II ჩიხი №2“** , მისამართი ქ.თბილისი გამსახურდიას II ჩიხი №2.

1.2. სანოტარო აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ამხანაგობა–ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა;

ამხანაგობის წევრი –პირი, რომელმაც შენატანი განახორციელა მომსახურეობის გაწევით;

ამხანაგობის დამფუძნებლები – პირები, რომლებიც ხელს აწერენ ამ სადამფუძნებლო ხელშეკრულებას საერთო მიზნის მისაღწევად;

ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი. – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გაწევრიანდება ამხანაგობაში საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით;

შენატანი- ფულადი სახსრები, უძრავი ან მოძრავი ქონება და მომსახურეობის გაწევა;

ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება-ამხანაგობის მართვის ორგანო;

1.3. დამფუძნებლები: **ნიკოლოზ კელეპტრიშვილი, მაია წილოსანი და ქეთევან კელეპტრიშვილი.**

მუხლი 2. ამხანაგობის სახეობა და მიზანი

2.1 ამხანაგობის სახეობა და მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით, იურიდიული პირის შეუქმნელად, განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში - „საცხოვრებელი სახლი“) და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც „ამხანაგობის“ წევრთა წილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის განსახორციელებლად (მათი წილის შესაბამისად)

2.2 საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე: ქ.თბილისი გამსახურდიას II ჩიხი №2

მუხლი 3. დამფუძნებელთა შენატანები

3.1 ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა, მაია წილოსანმა და ქეთევან კელეპტრიშვილმა** ამხანაგობაში შეიტანეს მათ საკუთრებაში არსებული– უძრავი ქონება, რომლის მახასიათებლებია- სარეგისტრაციო ზონა–ქ.თბილისი, კოდი–01, სექტორი– საბურთალო, კოდი–10, კვარტალი– №17, ნაკვეთის №10/008, მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი გამსახურდია, ჩიხი II, №2, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი–716.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა №10, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 250.12 საცხოვრებელი ფართი: 83.61 დამხმარე ფართი: 68.44, სამეურნეო ფართი: 98.07, უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №2 და შენობა №1-ში 131.9 კვ.მ.

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 012007028985, თარიღი 12/03/2007, უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/03/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა №1მ-19, დამოწმების თარიღი: 01/02/1985, ნოტარიუსი ე.მსხილაძე
- ნასყიდობის ხელშეკრულება №1-3073, დამოწმების თარიღი: 12/12/2003, ნოტარიუსი თ. გოგატიშვილი
- ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა №2-96, დამოწმების თარიღი:10/03/2007, ნოტარიუსი თ. გოგატიშვილი

მესაკუთრეები: **მაია წილოსანი** (დაბ. 30/06/1958) პირადი ნომერი: 01024048977, მცხ. გამსახურდიას გამზ. II ჩიხი №2
ნიკოლოზ კელეპტრიშვილი (დაბ. 03/09/1951) პირადი № 01024035810, მცხ. ქ. თბილისი, გამსახურდიას II ჩიხი №2,
ქეთევან კელეპტრიშვილი (დაბ. 15/02/1925წ) პირადი №01024048976, მცხ. გამსახურდიას II ჩიხი №2

მესაკუთრე:
მაია წილოსანი 17/30 ნაწილი
ქეთევან კელეპტრიშვილი 10/30 ნაწილი
ნიკოლოზ კელეპტრიშვილი 1/10 ნაწილი

იპოთეკა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება: არ არის დატვირთული

ყადაღა: არ არის რეგისტრირებული

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია **№012007206026-25/12/2007წ**. 12:19:19, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **№1.10.17.010.008**, მომზადების თარიღი: 26/12/2007 10:13:56,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საკადასტრო გეგმა სარეგისტრაციო №28985/07, საკადასტრო №01/10/17/10/8
უძრავი ნივთი არ არის დაყადაღებული, დატვირთული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია №012007206026-25/12/2007წ. 12:19:19, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.17.010.008, მომზადების თარიღი: 26/12/2007 10:13:56,

დამფუძნებლების მიერ ი.ბ.ა-ში განხორციელებული ქონების შენატანის ღირებულებას მხარეთა განცხადებით წარმოადგეს 156 088 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდარვა) ლარი,

3.2 ამხანაგობის დამფუძნებლების **ნიკოლოზ კელეპტრიშვილის, მაია წილოსანის და ქეთევან კელეპტრიშვილის**
დამატებით შენატანს წარმოადგენს შემდეგი ვალდებულებების ერთობლიობა:

- სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება;
- მშენებლობისათვის საჭირო ყველა ნებართვის მიღება შესაბამისი უწყებებიდან;
- მშენებლობის დაფინანსება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით იმ მიმართებით, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადების, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცების და მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 18 თვის შემდეგ მოხდეს სახლის მშენებლობის სრულად დამთავრება, გალესვა, დახურვა, შემინვა, გარე კომუნიკაციების მოწყობა;
- ინვესტიციების მოზიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად
- მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა დამტკიცებული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში, შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი.
- „ამხანაგობის“ საფინანსო საქმის წარმოება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

3.3 ყოველი შენატანი წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო საკუთრებას

მუხლი 4. გარიგების ღირებულება

4.1 მხარეთა განცხადებით ამ გარიგების ღირებულება შეადგენს წარმოადგეს 156 088 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდარვა) ლარს.

მუხლი 5. ამხანაგობის ხელმძღვანელობა და მართვა

5.1 ამხანაგობის მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება და ამხანაგობის თავმჯდომარე.
5.2 დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თამჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს **მაია წილოსანი.**
5.3.1. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებითან ურთიერთობასა და სასამართლოში, დებს გარიგებებს ამხანაგობის სახელით. ამასთანავე, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია
განახორციელოს ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების სანოტარო დამოწმებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, ამხანაგობის რეგისტრაცია ყველა ოფიციალურ სახელმწიფო ორგანიზაციაში, ამხანაგობის ბეჭდის აღება და დამფუძნებელი წვრების მიერ ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში ამხანაგობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ასევე ამხანაგობის თავმჯდომარეს მიეცეს უფლებამოსილება წევრთა საერთო კრების თანხმობის გარეშე თავისი შეხედულებისამებრ ერთპიროვნულად განკარგოს ამხანაგობის კუთვნილი ფულადი სახსრები და ქონება კერძოდ გაყიდოს, გააჩუქოს, დატვირთოს იპოთეკით, და სხვა, ხოლო მიღებული შემოსავლები კი მოახმაროს ამხანაგობის დებულებით გათვალისწინებული ამხანაგობის მიზნების მიღწევას, ასევე დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები ი.ბ.ა-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით;

5.3.2. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის.
5.3.3. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.
5.3.4. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.
5.3.4. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებაც მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა მხარეებს.
5.4. ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების უფლებამოსილებას ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად 5.3.1. მუხლის შესაბამისად;

მუხლი 6. ბინების განაწილების წესი

6.1 ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინის ნომერი. ბინის განთავსების სართული (საჭიროების შემთხვევაში–სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის საერთო ფართი.
6.2 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითიეული ასაშენებელი ბინის მომავალი მესაკუთრე.
ბინები უნდა გადანაწილდეს თანაბარწილად ამხანაგობის დამფუძნებლებს შორის აშენებული ფართის პროპორციულად.
საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის პროპორციულად.

მუხლი 7. დამფუძნებელთა უფლებები და მოვალეობები

7.1 ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებული არიან შეასრულონ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.
7.2 თითოეული დამფუძნებელი ვალდებულია ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად.
7.3 ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინის ნომერი და საერთო ფართი.
7.4. ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტის შედგენას საფუძვლად უნდა დაედოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
7.5 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ბინების გადანაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამაშენებლო დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის მომავალი მესაკუთრე.

მუხლი 8. ფორს–მაჟორი

8.1 ამ ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალებს აღემატება.
8.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებებს განეკუთვნებიან:
. სტიქიური უბედურება: მიწისძვრა, წყალდიდობა, დამანგრეველი გრიგალი და სხვ.

. სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე და ადმინისტრაციული აქტების მიღება, რომლებიც შეუძლებელს გახდის ვალდებულების შესრულებას.

. სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სათანადო პირობების არსებობისას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

მუხლი 9. ამხანაგობიდან გასვლის წესი

9.1 თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს გაეცალოს ამხანაგობიდან. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა ამხანაგობიდან არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

9.2 ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს. გადაწყვეტილება წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღის განმავლობაში.

9.3 წევრს გასვლის შედეგად უკან დაუბრუნდებამის მიერ განხორციელებული შენატანების ფულადი კომპენსაცია, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისთვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს ფულადი კომპენსაციის გაცემა ამხანაგობის წინაშე გამსვლელი წევრის მიერ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ახალი წევრისათვის სათანადო წესით გადაცემამდე.

9.4 ამხანაგობის დამფუძნებლებს შეუძლიათ მოშალონ ხელშეკრულება მათ მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადა არ უნდა იყოს 4 თვეზე ნაკლები), თუკი რომელიმე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 10. ერთობლივი საქმიანობის მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

10.1 ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და სახლის ექსპლუატაციაში მიღების მომენტიდან.

10.2 ამხანაგობის საქმიანობა წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება არ იწვევს ერთობლივი საქმინობის შეწყვეტას. მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

მუხლი 11. დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

11.1 ამხანაგობა ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები..

11.2 ფორს–მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადავადდება მდგომარეობის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის წევრებს საჯარიმო სანქციები არ დაერიცხებათ.

მუხლი 12. ამხანაგობის ვადა

12.1 ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და სახლის ექსპლუატაციაში მიღების მომენტიდან.

12.2 ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

12.3 ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებლის უფლება–უნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალებისას) მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

მუხლი 13. ამხანაგობის დოკუმენტაციის აღრიცხვა

13.1 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;
ბ)ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;
გ)საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტი;
დ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;
ე) ამხანაგობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება და ცვლილებეი ამ ხელშეკრულებებში.

ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და ბეჭდით დალუქული, თითოეული გვერდი დანომრილი.

ჟურნალში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) აქტის დასახელება, შედგენის თარიღი, შინაარსი;

ბ) იმ ნოტარიუსის დასახელება, რომელმაც დაამოწმა აქტი, დაამოწმების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.

13.2 ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს ჟურნალის ჩანაწერების გაცნობა. ანალოგიური უფლება აქვს ნოტარიუსს, რომელსაც ამხანაგობასთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სჭირდება ინფორმაცია ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.

13.3 ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის დაფუძნებისა და ბინების განაწილების აქტები, აგრეთვე ამ აქტებში შეტანილი ცვლილებები სავალდებულო წესით უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს და აღნიშნული აქტები საჯაროა–ნებისმიერ მესამე პირს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი ხარჯით ამ აქტების ასლების დამზადება.

13.4 ჟურნალის წარმოებისას სიზუსტეზე პასუხს აგებს ამხანაგობის თავმჯდომარე. ამ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება არის მძიმე დარღვევა და იწვევს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას და წარმოებულ უზუსტობაზე შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1 წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

14.2.ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით დ ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ამასთან ცვლილებეი უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

14.3.მხარეთა შორის ყველა საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი მოქმედი კანონმდებლობით.

ნოტარიუსის საზღაური: 477 (ოთხას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი და 60 თეთრი + დ.ღ.გ. 85 (ოთხმოცდახუთი) ლარი და 40 თეთრი= სულ 563 (ხუთას სამოცდასამი) ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი, 11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს, მუხლი 22-ე და 31-ე მუხლი)

მხარეთა ხელმოწერები

ნოტარიუსი სოსო მუმლაძე

საკადასტრო გეგმა მასშტაბი: 1:500 მიწის ნაკვეთი: სარეგისტრაციო № 23485/07 საკადასტრო № 1 / 10 / 17 / 10/8 ზონა სექტორი კვარტალი ნაკვეთი თბილისი საბურთალო მისამართი: გამსახურდიას გამზირი II ჩიხი №2 ფართობი: 716 კვ.მ. თარიღი: 15.03.2007წ.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისის სარეგისტრაციო სამსახური №8



შენობა № 1 -ში 131,9 კვ.მ. უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე

№2[illegible]5-07

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	შენობის ნომერი	ბორდიური
[illegible] შენობა	მშენებარე ნაგებობა	რკინიგზა
[illegible] შენობა	ტრანსფორმატორი და ელექტრო ქვესადგურები	გადამცემი ხაზი
უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობა	ხეივანი	სამეთვალყურეო ჭები

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42555993631214

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

სამკვიდრო მოწმობის გაცემა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140590716

რეგისტრაციის თარიღი

10.06.2014 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა
მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ათ ივნისს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18**, მომმართა **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა,** რომელმაც მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** (დაბ. 03.09.1951წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, პეკინის II ჩიხი №2, პირადი №01024035810) მომმართა. მე შევამოწმე მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დავრწმუნდი, რომ:

1. **ქეთევან კელეპტრიშვილის** (პირადი №01024048976) გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო. სამკვიდროს გახსნის ფაქტი დასტურდება **ქეთევან კელეპტრიშვილის** გარდაცვალების მოწმობით: ალ №419545, გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 22.10.2009წ.
2. სამკვიდრო გაიხსნა 21.10.2009წ, რაც ასევე დასტურდება **ქეთევან კელეპტრიშვილის** გარდაცვალების მოწმობით.
3. სამკვიდროს გახსნის ადგილია: ქ. თბილისი, პეკინის II ჩიხი №2, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 04.06.2014 წელს გაცემული საინფორმაციო ბარათით №0111714014077.
4. **ნიკოლოზ კელეპტრიშვილი** არის მამკვიდრებლის **ქეთევან კელეპტრიშვილის** პირველი რიგის მემკვიდრე – შვილი, რაც დასტურდება დაბადების მოწმობით: III-რე №888063, გაც. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის ბიუროს მიერ 07.02.1968 წელს.
5. მემკვიდრეობა გაიხსნა აწ გარდაცვლილი **ქეთევან კელეპტრიშვილის** სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც მოიცავს იმ ქონებრივი უფლებებისა (სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები) და მოვალეობების (პასივები - მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ) ერთობლიობას, რომელიც მას გააჩნდა გარდაცვალების მომენტისათვის
6. მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით – სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობითა და მართვით, აგრეთვე სანოტარო ბიუროში განცხადების შემოტანით, რაც დასტურდება: ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 04.06.2014 წელს გაცემული საინფორმაციო ბარათით №0111714014077; ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 04.06.2014 წელს გაცემული საინფორმაციო ბარათით №0111714014074. მემკვიდრემ განცხადებით მომმართა 2014 წლის ათ ივნისს (რეესტრში რეგისტრაციის №140590575, დამოწმებული ნოტარიუს შ. ხაინდრავას მიერ 10.06.2014 წელს), სადაც განაცხადა, რომ სურს საკუთრებაში მიიღოს სამკვიდრო ქონება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1499-ე მუხლების საფუძველზე და ორიათას თოთხმეტი წლის ათ ივნისს გავეცი წინამდებარე სამკვიდრო მოწმობა:

ს ა მ კ ვ ი დ რ ო მ ო წ მ ო ბ ა

მე, ნოტარიუსი **შორენა ხაინდრავა** ამ სამკვიდრო მოწმობით ვადასტურებ, რომ **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** (დაბ. 03.09.1951წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, პეკინის II ჩიხი №2, პირადი №01024035810), როგორც აწ გარდაცვლილი **ქეთევან კელეპტრიშვილის** პირველი რიგის მემკვიდრე – შვილი, უფლებამოსილია სრულად საკუთრებაში მიიღოს აწ გარდაცვლილი **ქეთევან კელეპტრიშვილის** სამკვიდრო ქონება, რომელიც მოიცავს მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებებისა (სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები, კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შესდგებოდეს იგი) და მოვალეობების (პასივები - მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ) ერთობლიობას, რომელიც **ქეთევან კელეპტრიშვილს** გააჩნდა გარდაცვალების მომენტისათვის.

წინამდებარე სამკვიდრო მოწმობა შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მემკვიდრეს.

სამკვიდრო მოწმობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო [illegible] თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. ნიკოლოზ კელეპტრიშვილის განცხადება სამკვიდროს მიღების/სამკვიდროში [illegible] გაცემის შესახებ (რეესტრში რეგისტრაციის №140590575, დამოწმებული [illegible] ხაინდრავას მიერ 10.06.2014წ);
2. მერი კელეპტრიშვილის განცხადება სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ (რეესტრში რეგისტრაციის №140590611, დამოწმებული ნოტარიუს შ. ხაინდრავას მიერ 10.06.2014წ);
3. გარდაცვალების მოწმობა: ალ №419545, გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 22.10.2009წ.
4. მერი კელეპტრიშვილის დაბადების მოწმობა: РЩ №463257, გაც. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის ბიუროს მიერ 23.06.1954წ;
5. ნიკოლოზ კელეპტრიშვილის დაბადების მოწმობა: III-РЭ №888063, გაც. ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის მმაჩის ბიუროს მიერ 07.02.1968 წელს;
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 04.06.2014 წელს გაცემული საინფორმაციო ბარათით №0111714014077;
7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 04.06.2014 წელს გაცემული საინფორმაციო ბარათით №0111714014074.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 20 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.16-ს თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 22 ლარი.

ნიკოლოზ კელეპტრიშვილი [illegible]

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

(სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის სანაცვლოდ ნიკოლოზ კელეპტრიშვილის მიერ მერი კელეპტრიშვილისთვის შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ)

ქ. თბილისი 2014 წლის 10 ივნისი

ერთის მხრივ მერი კელეპტრიშვილი დაბადებული 1954 წლის 22 მაისს, ქ. თბილისში, პირადი N01024053961, პირადობის მოწმობის ნომერი ა0680194, ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, გამსახურდიას II ჩიხი N2 და

მეორეს მხრივ ნიკოლოზ კელეპტრიშვილი დაბადებული 1951 წლის 03 სექტემბერს ქ. თბილისში, პირადი N01024035810, პირადობის მოწმობის ნომერი დ0334359 მცხოვრები მისამართზე თბილისი, გამსახურდიას II ჩიხი N2

დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მერი კელეპტრიშვილი უარს ამბობს დედის-ქეთევან კელეპტრიშვილის ქონებიდან სამკვიდროს მიღებაზე მისი ძმის - ნიკოლოზ კელეპტრიშვილის სასარგებლოდ, მათ შორის 2007 წლის 28 დეკემბერს შექმნილი ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გამსახურდიას II ჩიხი N2-ის“ (ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუს სოსო მუმლაძის მიერ, რეესტრის ნომრით 1-8253) წილზე.

2. ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მოცემული პირობის სანაცვლოდ, ნიკოლოზ კელეპტრიშვილი იღებს ვალდებულებას, მისამართზე ქ. თბილისი, გამსახურდიას II ჩიხი N2, მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში მერი კელეპტრიშვილის სასარგებლოდ შეასრულოს შემდეგი პირობები:

2.1. ქ. თბილისში, გამსახურდიას II ჩიხი N2-ში სახლის დემონტაჟის განხორციელებამდე უზრუნველყოს მერი კელეპრიშვილისთვის საბურთალოს რაიონში მდებარე მინიმუმ 70 (სამოცდაათი) კვ.მ საცხოვრებელი ბინის მერი კელეპტრიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემა ან გადაუხადოს მერი კელეპტრიშვილს 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი.

2.2. ქ. თბილისში, გამსახურდიას II ჩიხი N2-ში სახლის დემონტაჟის განხორციელებამდე გადაუხადოს მერი კელეპრიშვილს 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი.

2.3. ქ. თბილისში, გამსახურდიას II ჩიხი N2-ში განხორციელებული მშენებლობის საფუძველზე ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გამსახურდიას II ჩიხი N2-ის“- მიერ

ფართების საკუთრებაში მიღებისა და მისი წევრების მიერ პირველივე რეალიზაციისთანავე უზრუნველყოს მერი კელეპრიშვილისთვის საბურთალოს რაიონში მდებარე მინიმუმ 60 (სამოცი) კვ.მ საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა და ასევე გადაუხადოს მას 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერების ნოტარიულად დამოწმებისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერები:

მერი კელეპტრიშვილი

ნიკოლოზ კელეპტრიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140590817
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**შორენა ხაინდრავა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2725342**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**96735130042714**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორიათას თოთხმეტი წლის ათ ივნისს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელი(მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართეს **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** და **მერ კელეპტრიშვილმა,** რომლებმაც წარმოადგინეს 10.06.2014 წლის შეთანხმება და მოითხოვეს მას მათ ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობი დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** (და 03.09.1951წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, პეკინის II ჩიხი №2, პირადი №01024035810) და **მერ კელეპტრიშვილმა** (დაბ. 22.05.1954წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №2 ბ.3 პირადი №01024053961) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზ ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისა პასუხს არ აგებს სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ **ნიკოლოზ კელეპტრიშვილმა** და **მერ კელეპტრიშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე შეთანხმებას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე შეთანხმების 3 ეგზემპლარზე შესრულებული 6 ხელმოწერი დამოწმებისათვის) 12 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვი დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 2 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.პ-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამა დადგენილების მუხლი 39. პ1-ის თანახმად). სულ გადახდილია 14 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/



